ცვლილებები ძალაშია 17/05/2017–დან

ინტერნეტ - გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ საბანკო მომსახურების პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. საბანკო მომსახურების პირობების IX თავის დასახელება შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„თავი IX - სერვისით სარგებლობა/მომსახურება საბანკო მომსახურების პაკეტებით“

2. საბანკო მომსახურების პირობების 26-ე მუხლი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 26.

1. კლიენტისათვის თითოეულ სერვისში/პაკეტში შემავალი საბანკო მომსახურებების გაწევა ხორციელდება თითოეულ პროდუქტზე გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების/შეთანხმების საფუძველზე.
2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის კლიენტი უკვე სარგებლობს შესაბამის სერვისში/პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტ(ებ)ით, მაშინ აღნიშნულ სერვისში/პაკეტში შემავალი, კლიენტზე უკვე დარეგისტრირებული საბანკო პროდუქტ(ებ)ის ხელახალი რეგისტრაცია და აღნიშნულ პროდუქტებზე ახალი ხელშეკრულებების/შეთანხმებების გაფორმება აღარ ხდება.
3. საბანკო მომსახურების სერვისით სარგებლობის/პაკეტის მინიჭების შესახებ ხელშეკრულება მოქმედებს ბანკში კლიენტის ყველა ანგარიშის დახურვამდე, ან საბანკო მომსახურების სერვისის/პაკეტის შეცვლამდე.“

3. საბანკო მომსახურების პირობების IX თავს დაემატა 29^1 მუხლი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 29^1. ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება „სერვისით სარგებლობის შესახებ“.
2. სერვისით სარგებლობა გულისხმობს სერვისში შემავალი საბანკო პროდუქტებით და შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლების მოპოვებას ფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ.
3. სერვისში შემავალი საბანკო პროდუქტებია:
   1. ერთი მულტისავალუტო მიმდინარე ანგარიშის გახსნა;
   2. სატელეფონო პინ–კოდი;
   3. SMS მომსახურება (1 ცალი);
   4. ავტომატური დავალება;
   5. ინტერნეტ ბანკინგის სრული პაკეტი;
   6. ვიზა ბიზნეს ბარათი (1 ცალი);
   7. სადეპოზიტო ბარათი (2 ცალი).“